13 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

> „ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ჯანმრთელობისა და ფიზიკური წრთობის მკვიდრი საძირკველი შევუქმნათ ჩვენს მოსახლეობას. ფიზიკური კულტურა და სპორტი ხელს უწყობენ კოლექტივიზმის და საერთოდ მთელ ჩვენს საზოგადოებაში სასიკეთო მორალურ-ფსიქოლოგიური განწყობილების შექმნას“.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 158 (5967)

13

1977 წ.
აგვისტო,
შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

შემდგომი აღმავლობისთვის

დღეს მთელი საბჭოთა ქვეყანა ზეიმობს ახალგაზრდობის ჭეშმარიტ დღესასწაულს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. ჩვენი სპორტსმენები, ფიზკულტურელები უპატაკებენ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს თავიანთი წარმატებების შესახებ. საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენები ანცვიფრებენ სამყაროს სხვადასხვა ასპარეზობებში მოპოვებული დიდი წარმატებებით, სპორტული ტალანტების სიმრავლით. იცვლებიან თაობები, მაგრამ ჩვენ კვლავ ვიპყრობთ მსოფლიოს სპორტულ მწვერვალებს, ვიმარჯვებთ ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში.

ახორციელებენ რა სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობათა გადაწყვეტილებებს, საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რაც დრო გადის, მით უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. სულ ხშირად მოდის სასიხარულო ცნობები საბჭოთა ქვეყნის ქალაქებისა თუ საზღვარგარეთის სტადიონებიდან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების გამარჯვებათა შესახებ.

საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები თავიანთ წლევანდელ დღესასწაულს ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60-ე წლისთავის ნიშნადების, ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვისა და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილების განხორციელებისთვის ბრძოლის პერიოდში.

აქტივის კრებაზე, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხები, აღინიშნა ჩვენს დარგში მოპოვებული წარმატებები, ამასთან სააშკარაოზე იქნა გამოტანილი ის ნაკლოვანი მხარეები, რომლებიც ჯერ კიდევ ხელს უშლიან ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარებას, საკავშირო, ევროპულ და მსოფლიო სარბიელზე მეტი წარმატებების მოხვეჭას.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად ამაღლდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე. ამას ხელი შეუწყო 1974 წლის ივნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ — „საქართველოს სპორტკომიტეტის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ“. ამ დოკუმენტმა დასაბამი მისცა დიდ მიზანმიმართულ მუშაობას, რომელსაც ამჟამად რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ახორციელებენ.

აქტივის კრებაზე დიდი სჯა-ბაასი იყო ჩვენი ფიზკულტურისა და სპორტის მტკივნეულ საკითხებზე, განსაკუთრებით ბავშვთა და სტუდენტური სპორტის ჩამორჩენის თაობაზე, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების აუცილებლობაზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. აქტივის კრებაზე განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმ ამბავს, რომ სპორტსმენთა შორის აღმზრდელობით მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ რთულ საშეჯიბრებო სიტუაციაშიც კი ყოველ სპორტსმენს მოეთხოვება მაქსიმალური შინაგანი მობილიზება, ორგანიზება, თვითდისციპლინა, თავდაჯერა, შეუპოვრობა და კეთილშობილება, ტაქტი და სიმტკიცე, კოლექტივის მიმართ ერთგულება და სხვ. ამიტომ მნიშვნელოვნად უნდა ამაღლდეს სპორტში მორალურ-ნებელობითი, ფსიქოლოგიური ფაქტორების როლი. რესპუბლიკის მწვრთნელებისა და სპეციალისტების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ყოველი სპორტსმენი განმსჭვალული იყოს ხალხის, სამშობლოს წინაშე უმაღლესი პასუხისმგებლობის შეგნებით, მკვეთრად გააუმჯობესონ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა. იშვიათად, მაგრამ არის ფაქტები, როცა სპორტსმენი მიაღწევს რა რაიმე წარმატებას, ქედმაღლობს, არაფრად აგდებს მწვრთნელის დარიგებას, უტაქტოდ იქცევა სარბიელზე, არასპორტული ჟესტებით გამოხატავს მსაჯისადმი უკმაყოფილებას, რითაც აიყოლიებს ხოლმე ზოგიერთ უნებისყოფო მაყურებელს. ამის გამო იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება სპორტულ სარბიელზე მაყურებელთა მხრიდან დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. მსგავს ფაქტებს დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ. ჩვენ იმიტომ მივდივართ სტადიონებსა თუ სხვა სპორტულ სარბიელებზე, დიდი ინტერესით ვესწრებით სხვადასხვა შეჯიბრებებს, რომ გვინდა დავისვენოთ, დავტკბეთ სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელთა ოსტატობით, მაღალკვალიფიციური მსაჯობით, სპორტული ნაგებობების ხელმძღვანელთა სტუმართმოყვარეობით და არა იმიტომ, სპორტულ შეჯიბრებიდან დაბრუნებულებმა ვინანოთ ჩვენი თავისუფალი დრო ტყუილუბრალოდ რომ დავკარგეთ.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობა წარმატებით ვერ განვითარდება, თუ ამ საქმეს მუდმივ პრაქტიკულ დახმარებას არ გაუწევენ პარტიული, საბჭოთა ორგანოები, თუ ინიციატივას არ გამოიჩენენ პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციები.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მოქმედების უფრო ფართო ასპარეზი გაეხსნათ შემდგომი მუშაობის წარმართვისთვის. მათ მთლიანად უნდა გამოიყენონ საბჭოთა ადამიანებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვის შესახებ ახალი საბჭოთა კონსტიტუციით მონიჭებული უფლებები, ცხოვრებაში განახორციელონ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების გადაწყვეტილება, რომ ახლო მომავალში შესამჩნევად გაიზარდოს საქართველოს სპორტსმენთა ხვედრითი წონა საკავშირო სარბიელზე, მეტი წარმატებები მოვიპოვოთ დიდ სპორტულ ასპარეზობებში, უზრუნველვყოთ საქართველოს სპორტული დელეგაციის წარმატებით გამოსვლა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში.



ფიზკულტურა და სპორტი ყველასთვის

გვესაუბრება რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ა. პერტენავა

●

ყოველ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, როგორც წესი, გადავხედავთ ხოლმე განვლილ გზას. ბოლო თვეების მნიშვნელოვან მოვლენებს შორის, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, სადაც განხილული იქნა რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ისტორიაში ასე ყოველმხრივად და დეტალურად პირველად გაშუქდა ეს საკითხი.

და თუმცა აქტივის შეკრებიდან მხოლოდ თვეზე ცოტა მეტია გასული, დასახული ღონისძიებები უკვე ხორციელდება. გავიხსენოთ, მაგალითად, საკავშირო ახალგაზრდული თამაშები. ზოგიერთებს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ასეთი რანგის წინა შეჯიბრებებთან შედარებით საქართველოს ნაკრებს განსაკუთრებული წარმატებისთვის არ მიუღწევია. თუ საბოლოო შედეგის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს მართალიცაა.

წინა ახალგაზრდულ თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა 9 I ადგილი და 2 გუნდური გამარჯვება მოიპოვეს. ბოლო ტურნირში კი ისინი 15-ჯერ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და სამჯერ გაიმარჯვეს გუნდურ შეჯიბრებაში. წინა თამაშებში ყაზახეთის ნაკრები, რო-

ფეხურით მაღლა იდგა, 250 ქულით უსწრებდა საქართველოს გუნდს, წლეულს კი სხვაობა მხოლოდ 3,5 ქულა იყო.

გუნდურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა, კალათბურთელებმა და ძიუდოისტებმა. წინა თამაშებში კი მოჭადრაკეები და კალათბურთელები, შესაბამისად V და VII ადგილებზე გავიდნენ. ასევე შეიძლება ითქვას სპორტის ზოგიერთ სხვა სახეობაზეც. კერძოდ, ველოსიპედისტებსა (სპრინტი) და იახტსმენებზე.

დღეს, როცა ჩვენი ახალგაზრდული გუნდების წარმატებებს აღვნიშნავთ, არავითარ შემთხვევაში არ ვამბობთ, რომ მათ მაქსიმალურ შედეგს მიაღწიეს. ახალგაზრდულ სპორტში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. საკმარისია ითქვას, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა მხოლოდ 5 პროცენტია სპორტში ჩაბმული.

დღეისთვის საქართველოში დანერგილია სპორტის 49 სახეობა, მათ შორის — 27 ოლიმპიური. რესპუბლიკის სპორტულ კოლექციაში 59 ოლიმპიური მედალია, აქედან 20 უმაღლესი ღირსებისაა.

ეს ციფრები თითქოს სასიხარულოა, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინა წლებთან შედარებით „ოლიმპიურ ყულაბაში“ საქართველოს სპორტსმენთა წვლილი შედარებით შემცი-

ოლიმპიადაში მათ 11 მედალი და 45 ქულა მოიპოვეს, მონრეალში — 7 მედალი და 24 ქულა.

ამისი მიზეზები უპირველესად მასობრივი სპორტის დონის დაქვეითებაში უნდა ვეძიოთ. უკვალოდ არ ჩაუვლია იმ დროს, როცა რესპუბლიკა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მხრივ ქვეყანაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო.

ახლა ეს მდგომარეობა თანდათან გამოსწორების გზაზეა. ამ მიმართებით კარგ მაგალითს იძლევიან: „განთიადის“ ცენტრალური საბჭო, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ენგურჰესის სამშენებლო სამმართველოს, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, გურჯაანის რაიონის ვეჯინის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივები.

შარშან მშდ კომპლექსის ნიშნოსანი გახდა 345 ათასი კაცი, რაც გეგმით გათვალისწინებულზე მნიშვნელოვნად მეტია. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ამ „ჯანმრთელობის კომპლექსის“ დანერგვას. ჩვენი დევიზია — „არც ერთი კოლექტივი — მშდ-ის ნიშნოსანთა გარეშე“.

საქართველოს სპორტული ორგანიზაციის ამოცანაა უფრო მასობრივი გახადოს ფიზკულტურა და სპორტი, მასში ჩააბას ყველა — დიდი და ბა-

ერთი დღე საგურამოს სპორტულ ბანაკში

ზაქრო, დათო, ხათუნა და სხვები

ზედ სოფლის კარიბჭესთანაა საგურამოს სკოლა-ინტერნატი, მიწამდე ტოტებდაშვებული ტირიფის ვეება ხეებში ჩაფლულ სასწავლებელს სტუმართმოყვრულად რომ გაუღია კარი ნორჩი ტანმოვარჯიშეებისთვის.

საგურამოს სკოლა-ინტერნატში ისვენებენ და წვრთნას გადიან თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სკოლის (დირექტორი მ. იმნაძე) აღსაზრდელები. ზაფხულის პერიოდში აქ მოქმედებს სკოლის სპორტული ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას მ. ბუჯიაშვილი.

ვარჯიშის შემდეგ ბავშვები ეზოში გამოფენილან. ბიჭები ბურთს დასდევენ, გოგონები ჩრდილში შეგროვილან. ზოგი ხელსაქმით, ზოგი საუბრითაა გატაცებული. აკვირდები მათ და ცდილობ ამოიცნო ჩვენი სახელოვანი ტანმოვარჯიშეების ტრადიციათა გამგრძელებელნი. ნორჩები მიწას ძლივს ასცილებიან, მაგრამ მათს ყოველ მოძრაობაში გამოსჭვივის ტანმოვარჯიშეთათვის დამახასიათებელი მიხვრა-მოხვრა, ელეგანტობა. ამ ჩვევებს ისინი წვრთნისას იძენენ. აი აქაც, საგურამოში, ბავშვები ორჯერად წვრთნას გადიან ტანვარჯიშულ დარბაზსა და სპორტულ მოედნებზე. არ გეგონოთ, ურთულეს ვარჯიშებს სწავლობენ, არა, ისინი იოლ აკრობატულ, ქორეოგრაფიულ ილეთებს ეუფლებიან.

— გოგონებიდან ყველაზე პატარები ახლა საცხოვრებელ კორპუსში, თავიანთ ოთახებში არიან, — გვეუბნება მიხეილ იმნაძე, — თოჯინებს დასტრიალებენ თავს.

— ახლა ნახეთ, ეს თოჯინებიანი გოგონები რა გატაცებით ვარჯიშობენ, არც ერთ წუთს არ კარგავენ წვრთნისას — გვეუბნება სკოლის დირექტორი. ეს კიდევ ჩვენი „კინოვარსკვლავია".

— მოდი ჩემთან ზაქრო, — იმნაძე თავისკენ იხმობს ღიღთვალება ბიჭუნას.

ბიჭი წინ აგვეტუზა. იგი ზაქრო სახვაძეა, თბილისის მე-12 საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლე. შარშან სწორედ აქ, საგურამოში მოსწონებიათ „მოსფილმის" თანამშრომლებს ბიჭი და კინორეჟისორ გიორგი დანელიასთვის წარუდგენიათ. ასე დაიწყო ზაქრო სახვაძის მეგობრობა ცნობილ კინომუშაკებთან გ. დანელიასთან, ვ. კიკაბიძესთან და სხვებთან. ზაქრო გადაიღეს კინოფილმ „მიმინოში". ნორჩი მსახიობი ვარლამის როლს ასრულებს. ყველას, ვინც კი ფილმი ნახა, მოეწონა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ოთარ მიქელაძის აღზრდილი. მიქელაძეს იმედი აქვს, რომ ზაქრო სახვაძე ტანვარჯიშშიც იტყვის თავის სიტყვას და კინოშიც.

პატარა კინომსახიობმა იცოდა, რომ „მიმინომ" მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი პრიზი მოიხვეჭა, როცა ამ თემაზე საუბარი ჩამოვუგდე, სიხარულისგან სახე აელეწა, ადგილზე ცქმუტვა დაიწყო, კითხვაზე, რომელი უფრო იტაცებს, სპორტი თუ კინო, დათომ მიპასუხა:

— ორივე, მაგრამ ტანვარჯიში მაინც სულ სხვაა, მას ვერ ვუღალატებ. ზაქროს აზრს იზიარებენ თანატოლები დათო, გია, ხათუნა, ეკა და სხვები. ისინი საგურამოს სპორტულ ბანაკში ისვენებენ, იკაჟებენ სხეულს. მათს წვრთნას, ნამდვილ საბჭოთა მოქალაქეებად ჩამოყალიბებას ხელმძღვანელობენ გამოცდილი სპეციალისტები ო. მიქელაძე, ტ. ცისკაძე, რ. სარვაზიანი, ტ. მუჩიაშვილი, ს. ტოროსიანი, დ. კილაძე, ნ. ხერხეულიძე, ე. ხუბულავა, რ. პეჩკოვა, თ. ბუილიშვილი, რ. პროკოპენკო, ს. პანკინი, ნ. ჰანტურია, შ. ლებანიძე, კონსულტანტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ბაბილოძე.

ჩვენ თბილისის განათლების განყოფილების გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშული სკოლის სპორტული ბანაკის ცხოვრებაზე შემთხვევით როდი შევჩერდით — სკოლამ ბევრი მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა საკავშირო მასშტაბის შეჯიბრებებში. ახლახან მინსკში დამთავრებულ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში ამ სასწავლებლის აღზრდილმა მალხაზ თათარაძემ ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ასპარეზობაში საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ ამ სკოლის სხვა ტანმოვარჯიშეებიც. სკოლას მეგობრული კავშირი აქვს პოლონელ, უნგრელ ტანმოვარჯიშეებთან, ეწყობა საერთაშორისო შეხვედრები. ამ დღეებში უნგრეთში სტუმრად მყოფ საქართველოს ნაკრებ გუნდში ამ სკოლის აღზრდილებიც გამოდიოდნენ. სკოლის წარმომადგენლებმა წარმატება მოიპოვეს გომელში გამართულ სპორტული სკოლების საკავშირო პირველობაში, სადაც ბიჭებმა II, ხოლო გოგონებმა IV ადგილები დაიკავეს, პირად პირველობაში მერაბ პაპიაშვილმა ყველას აჯობა ორძელზე და ტაიჭზე ვარჯიშში, გია ბარდაძე უძლიერესი იყო რგოლებზე.

კიდევ ბევრი საინტერესო ასპარეზობა ელით სკოლის აღსაზრდელებს. ისინი რომ ხშირად გამარჯვების გზით ივლიან, ამაზე მეტყველებს ამ ციცქნა გოგო-ბიჭების დაუოკებელი ენერგია, სპორტის ამ უძნელესი სახეობისადმი უსაზღვრო სიყვარული.

ზ. ჯანდიერი.

ს. საგურამო.

• • •

სურათებზე: ზაქრო სახვაძე თანატოლებს მოუთხრობს კინოფილმ „მიმინოზე" მუშაობის შთაბეჭდილებებს; ნორჩი ტანმოვარჯიშეები წვრთნისგან თავისუფალ საათებში ერთობიან ჭადრაკისა და კალათბურთის თამაშით.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

წლევანდელი წარმატებები

მარტში II ახალგაზრდული საკავშირო თამაშების პროგრამით გამართულ რიგის ტურნირში კალათბურთელ ქალთა გუნდმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

აპრილში თბილისის სპორტის სასახლეში შედგა კალათბურთში საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. თბილისის დინამოელებმა 5-დან 4 შეხვედრა მოიგეს. მათ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი — ცსკა-ც დაამარცხეს და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ბრინჯაოს მედალოსნები გახდნენ.

მაისში კალათბურთელებს ხელბურთელებმაც მიჰბაძეს: თბილისის სპორტის სასახლეში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში III ადგილი მოიპოვეს.

მაისშივე დამთავრდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩი ნ. ალექსანდრიასა და მ. ჩიბურდანიძეს შორის. მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა საერთაშორისო ოსტატმა, თბილისელმა მოსწავლემ მ. ჩიბურდანიძემ სძლია თავის მრისხანე მეტოქეს და ნახევარფინალში გავიდა;

ამავე თვეში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა წარმატებით იასპარეზა აშშ-ში გამართულ ქალთა ტურნირში და ქალთა შორის დიდოსტატის პირველი ბალი მიიღო.

ივნისში ჰალეში ჩატარდა ევროპის მოკრივეთა პირველობა. თბილისელმა დ. კვაჭაძემ საქართველოს მოკრივეთა შორის პირველმა შეძლო კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვება;

მესტენდურეთა საკავშირო შეჯიბრებაში თბილისელმა თ. მატოიანმა მრგვალ სტენდზე 200 ქულა მოაგროვა (200 შესაძლებლიდან). იგი სსრ კავშირის რეკორდსმენი გახდა;

ლორჩესტერში ევროპის მესტენდურეთა პირველობაზე თბილისელმა თ. [illegible] მრგვალ სტენდზე გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედალი მიიღო.

სამაგალითო კოლექტივი

ისეთი სპორტული ბაზებით, როგორიც ხელვაჩაურის რაიონის ბათუმის ბელაშიორკის სახელობის მეცხოველეობის სანაშენო საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელებს აქვთ, მთელ საქართველოში ცოტა თუ ვინმე დაიკვეხნის. ამაში უმალ დარწმუნდებით, თუ ნახავთ ფეხბურთის მშვენიერ მინდორს თავისი სარბენი ბილიკებითა და სახტომი ორმოთი, ანდა მშვილდოსნობის შესანიშნავ ბაზას. აქ სპორტის ნებისმიერი სახეობის მიმდევარსა თუ სპორტსმენს საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი სხეულის გაკაჟებისა და ვარჯიშისთვის, სპორტული სრულყოფისთვის. ოღონდ ესაა, სასურველი იქნებოდა ფეხბურთის მინდორი სტადიონად გადაკეთებულიყო, რამდენიმე ათასი კაცისთვის ტრიბუნები აეშენებიათ. გარდა ამ ორი თითქმის სრულყოფილი სპორტული ბაზისა, ხელვაჩაურელებს აქვთ სპორტდარბაზი, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, ტირი. არც ინვენტარის ნაკლებობას უჩივიან აქაური სპორტსმენები.

მეურნეობაში (დირექტორი შ. ჩხაიძე, ფიზკულტურის მეთოდისტი ლ. ჩხობაძე) 355 ფიზკულტურელია (550 კაციდან). ისინი 15 სპორტულ სექციაში არიან გაერთიანებული. ნახევარი წლის მანძილზე აქ მომზადდა 4 სპორტის ოსტატი, 6 ოსტატობის კანდიდატი, 78 პირველი და მეორეთანრიგოსანი, 124 მესამე და მოზარდი თანრიგის სპორტსმენი. ამავე პერიოდისთვის მშდ კომპლექსის ნორმატივები 88 ფიზკულტურელს ჰქონდა შესრულებული.

დღეს ამ მეურნეობის ფიზკულტურული მუშაობის მხოლოდ დადებით მხარეზე მოგითხრობთ. თუნდაც იმიტომ, რომ ამ ბრწყინვალე ბაზების მფლობელთ არ გაუჭირდებათ ხარვეზების აღმოფხვრა. ამისათვის კი საჭიროა ენერგიული, მიზანსწრაფული ვარჯიში.

ერთი სიტყვით, ხელვაჩაურელთა ფიზკულტურული კოლექტივი კარგად მუშაობს, სწორ გზას ადგას. ამისათვის, თუნდაც ის ფაქტი გავიხსენოთ, რომ მეურნეობის ფიზკულტურულმა კოლექტივმა X ხუთწლედის პირველ წელს მეურნეობათა შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა.

წელს აჭარის მშვილდოსანთა ნაკრებმა, რომელიც ძირითადად ამ მეურნეობის სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, საქართველოს პირველობაში II საპრიზო ადგილი დაიკავა. პირად ჩათვლაში მარინე ჩხობაძე მეორე იყო, ლუდა ტოროპოვა და რეზო შარაძე კი III ადგილს დასჯერდნენ. სულ ახლახანს ჩხობაძემ სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაში გამოიჩინა თავი, ამავე ასპარეზობაში სიმძიმეების აწევაში მესამე იყო ასლან ოსანაძე. წლეულსვე აქაურმა ფრენბურთელმა ქალებმა აჭარის პირველობა მოიპოვეს კოლმეურნეობებს შორის.

მეურნეობის ფიზკულტურელთათვის სამაგალითონი არიან სპორტის ოსტატები მშვილდოსნობაში მ. ჩხობაძე, ლ. ტოროპოვა, რ. შარაძე, გ ავდენდოვი, ძალოსანი ა. ოსანაძე, სპორტის ოსტატობის კანდიდატები კლასიკურ ჭიდაობაში — რ. კაკაბაძე, თავისუფალ ჭიდაობაში — ზ. ხაბაძე.

მაგრამ მეურნეობის ფიზკულტურელთა ცხოვრებაში ყველაზე სასახელო იყო შარშან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ხელვაჩაურელთა საქმიანობის ჩვენება. ეს უკვე დიდი აღიარება გახლდათ.

— გაკეთებული ბევრია, მაგრამ, ჩვენის აზრით, უფრო მეტის გაკეთება შეიძლება. მეურნეობის ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის ასამაღლებლად გადაწყვეტილი გვაქვს ჩავატაროთ სხვადასხვა ღონისძიებები — უფრო გავახშიროთ შეჯიბრებები, გავამდიდროთ საწვრთნელი პროცესი. შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით კიდევ უფრო ფართოდ დავნერგოთ ფიზპაუზები და გამამხნევებელი ვარჯიშები. ერთი სიტყვით, მთელი კოლექტივი დარაზმულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავთან ღირსეულად შესახვედრად, — გვითხრა ლ. ჩხობაძემ.

დ. გურული.

თავდაცვის ახალი სისტემა

კაპიტალის სამყაროში

... უმუშევრობა, ინფლაცია, სიძვირე — რიგითი ამერიკული ოჯახისთვის ეს ყველაფერი ყოველდღიურ ცხოვრებასთან გაიგივებული სინამდვილეა. მაგრამ ამ ქრონიკულ უბედურებას ბოლო ხანებში თან დაერთო კიდევ ერთი საფრთხე — ძარცვა დღისით, მზისით, ხალხით გაჭედილ ქუჩებში, მაღაზიებში, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში. ბანდიტები უკვე აღარაფერს ერიდებიან, ყველაზე ნაკლებად კი პოლიციას, რომელიც საჭიროების ჟამს რატომღაც არასდროს არ არის ადგილზე.

„პოლიციის იმედით მტერი იყოს. ჩვენ თვითონ უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს!" ამერიკის ქალაქებში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ეს ლოზუნგი და ხალხიც სხვადასხვა გამოსავალს ეძებს შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ამ საყოველთაო ძალადობის ატმოსფეროში სულ უფრო პოპულარული ხდება თავდაცვის სხვადასხვა კომპლექსები ძიუდოდან დაწყებული კარატემდე. თამამად შეიძლება იმის თქმა, წერს ამერიკელი ჟურნალისტი რ. კლარკი, რომ თავდაცვის ორიგინალური კომპლექსები ჩვენში უფრო სწრაფად და ფართოდ ინერგება, ვიდრე მათ ტრადიციულ სამშობლოში — იაპონიაში.

„თუ სურვილი გაქვს საყვარელ ქალთან ერთად წახვიდე სასეირნოდ პარკში — უსათუოდ ისწავლე კარატე. ორ კვირაში თავისუფლად შეგეძლება დაიცვა შენი თავიცა და გულის მეგობარიც. ყოველდღიური მეცადინეობის ფასი — 5 დოლარი"... „ჯიუ-ჯიცუ მარტოხელა ხალხის მეგობარია. მყუდროება შეგიძლია იყიდო დღეში 5 დოლარად"... „მამაკაცთა ვაჟკაცობა მხოლოდ რომანებშია და ფილმებში. ქალებო! იცოდეთ, რომ საყვარელ მამაკაცზე უკეთ გაჭირვებაში კარატე გიშველით"... ამგვარი განცხადებებით აჭრელებულია პრესა დღევანდელ ამერიკაში და ახალგაზრდობაც მხურვალედ ეტანება თავდაცვის კომპლექსებს.

მაგრამ როგორი საიმედოც არ უნდა იყოს გაჭირვებაში ძიუდო, ჯიუ-ჯიცუ ან კარატე, მათი სრულყოფილად შესწავლა და ათვისება მთელ რიგ პრობლემებთანაა დაკავშირებული. ამ პრობლემებში უმთავრესია დროის ფაქტორი, ვინაიდან ძიუდოს შესწავლას წლები სჭირდება, ამერიკელ მოქალაქეს კი კანონიერი სურვილი აქვს ყოველდღიურად იაროს ქუჩაში.

და აი, ახალი სენსაციური განცხადება: „რამდენიმე კვირაში შეგიძლიათ ყოველმხრივ დაეუფლოთ ჯაკატას ხელოვნებას. ყველანი ლარი ლენტასთან. თქვენი ხსნა სწორედ აქ არის. სწავლების ფასი 5-დან 10 დოლარი". 10 დოლარი, ეს უკვე რაღაცას უნდა ნიშნავდეს და დაბნეული ამერიკელი მოკრძალებით აღებს სასწავლებლის კარს.

ვინ არის ლარი ლენტა? ამერიკელთა სიმშვიდის ეს ახლად გამომცხვარი მხსნელი 42 წლისაა. ერთ დროს იგი შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებში ინსტრუქტორად მუშაობდა. იყო იაპონიაში, სადაც ძიუდოს სპეციალიზებულ ცენტრში სწავლების სრული კურსი გაიარა. შერე სამშობლოში დაბრუნდა და მოჭიდავეთა წვრთნას მიჰყო ხელი.

— ის, რასაც მე ვასწავლი, არ არის სპორტი. ჯაკატა თავდაცვის საშუალებაა საკმაოდ ეფექტური ნაერთია, რომლის გამოყენება შეუძლია ყველას — მოხუცს და ახალგაზრდას, კაცსა და ქალს.

ლარი ლენტა არ მალავს ამ კომპლექსის წარმოშობის ისტორიას. მოწაფეებმა, — ამბობს იგი, — ამიკლეს თხოვნით, მესწავლებია თავდაცვის ისეთი კომპლექსი, რომლის სწავლას არ დასჭირდებოდა დიდი დრო. მე ყურადღებით გადავსინჯე ჯიუ-ჯიცუს ყველა 4000 ილეთი და ამოვარჩიე მხოლოდ ისეთები, რომელთა გამოყენება ყველა სიტუაციაშია შესაძლებელი. უყურადღებოდ არ დამიტოვებია არც კარატე და აი, ერთ მშვენიერ დღეს მოვაგროვე 33 ასეთი ილეთი.

ლენტა ამტკიცებს, რომ სხვა ცნობილი კომპლექსებისგან ჯაკატა იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელში ნებადართულია ყოველგვარი მოძრაობის და ხერხის გამოყენება. მაგალითად, კარატეში აკრძალულია მუხლში დარტყმები, ჯაკატაში კი ეს ილეთი ერთ-ერთი წამყვანია. ჯაკატას ხელოვნებას დაუფლებულ ქალს შესწევს უნარი, თავი დაიცვას რამდენიმე მოძალადესთან ბრძოლაში.

სწავლების კურსი 15 გაკვეთილს მოიცავს. ვარჯიში ტარდება კვირაში ერთხელ, 4 საათის განმავლობაში. ლენტას თქმით ჯაკატას მიზანია, რომ ადამიანი მიუღწეველი აღმოჩნდეს მოძალადის მუშტების ან დანისთვის. მე ვზრდი ისეთ მატადორს, — ამბობს ლენტა, — რომელიც წინ კი არ უნდა აღუდგეს ხარის ძალას, არამედ ოსტატურად დააღწიოს თავი ხიფათს. ამიტომ ჩემი კომპლექსი გამოსადეგია როგორც კაცებისთვის, ისე ქალებისთვის.

ვინ იცის, იქნებ ლენტას ამოძრავებს კიდევაც კეთილშობილური და კაცთმოყვარული ინტერესები, მაგრამ ნუთუ მხოლოდ ამაშია ხსნა? ნუთუ ჯაკატას იქით არ არის უბრალო ამერიკელის სხვა გამოსავალი?

წლევანდელი წარმატებები

ივლისი II ახალგაზრდული საკავშირო თამაშების თვე გახლდათ. საქართველოს სპორტსმენთაგან ბევრმა ისახელა თავი:

ძიუდოისტებმა გუნდური პირველობა მოიგეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ო. ზურაბიანი და თ. ნამგალაური.

I ადგილი მოიპოვა, აგრეთვე, საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრებმა.

სამბისტთა პირად პირველობაში თამაშების ჩემპიონები გახდნენ ნ. ნუგზარიშვილი და ს. როსტიაშვილი.

ძალოსანთა შეჯიბრებაში ქვესაშუალო წონაში ბადალი არ ჰყავდა ქუთაისელ ნ. პაპიძეს;

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის სამი სპორტსმენი ოქროს მედლით დაბრუნდა. ესენია: ვ. ბაგაევი, ზ. ყუპუსიძე და დ. ყიფიანი.

თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ოქროს მედალი მოიგო ნ. ბექურიშვილმა, ხოლო ხმლით ფარიკაობაში — ა. კიკნაძემ.

მოზრდილების საკავშირო ჩემპიონატებში განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს სამბისტებმა — ი. მალალაშვილმა, ა. ოქროპირიძემ და დ. ბოდაველმა. სამივემ ოქროს მედლები მოიპოვა.

ძიუ-დოში ქვეყნის ჩემპიონი გახდა დ. კოდანოვი;

ცურვაში ორი ოქროს მედალი მიიღო ი. კუშპელიოვმა;

ავტოსამოდელო სპორტში ქვეყნის ჩემპიონობა წილად ხვდა თბილისელ ნ. ოსინოვსკის.

აგვისტოში ევროპის ჩოგბურთელთა ჩემპიონატში, რომელიც იუგოსლავიაში ჩატარდა, კონტინენტზე უძლიერესი სპორტსმენის სახელი დაიბრუნა თბილისელმა ა. მეტრეველმა, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში მოუგო თანამემამულე ა. კაკულიას. ეს დუეტი ჩემპიონი გახდა წყვილთა შეჯიბრებაში.

თბილისელმა წყალში მხტომელმა ს. შალიბაშვილმა კუბაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ორი ოქროს მედალი მოიპოვა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

მალპილსის (ლატვია) მიდამოებში მოტოციკლისტთა საკავშირო ჩემპიონატში გუნდური გამარჯვება მოიპოვა საქართველოს გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ თბილისელები გ. როდიჩევი, ა. ლარინი, გარდაბნელი შ. ზაქაიძე და ქუთაისელი ს. ნალივაიკო.

წოდებათა მინიჭება

მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენების მომზადების საქმეში აქტიური მუშაობისთვის ფიზკულტურელის დღესთან დაკავშირებით საქართველოს სპორტკომიტეტმა „საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის" წოდება მიანიჭა:

აკრობატიკაში — ვ. ალთუნაშვილს (თბილისი, განათლების სამინისტრო); **ველოსპორტში** — ო. ფხაკაძეს (თბილისი, „დინამო"); **ჩოგბურთში** — გ. ღარიბაშვილს (თბილისი, „განთიადი") და ო. ჭარხალაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი"); **კრივში** — ნ. გარაბაჯის (რუსთავი, განათლების სამინისტრო); **ტყვიის სროლაში** — ო. კვირიკაშვილს (თბილისი, „დინამო"); **ალპინიზმში** — შ. მიქიანაშვილს, დ. დანგაძეს (ორივე — თბილისი, „ბურევესტნიკი"), გ. ქართველიშვილს (თბილისი, „განთიადი"); **ფარიკაობაში** — ე. აბაშიძეს (ზესტაფონი, „კოლმეურნე"), ნ. ძაგანიშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი"); **მძლეოსნობაში** — ი. გიგაურს (თბილისი, საქართველოს პროფსაბჭო); **ჭადრაკში** — ე. გუფელდს (თბილისი, უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 სკოლა); **გემსამოდელო სპორტში** — მ. გავას (თბილისი, დოსააფი).

გრანდ კაპუცინზე „ვეფხვის" ნაკვალევით

ის იყო ღამე გაიცრიცა, რომ მაღალმთიანი ტორინოს სასტუმროდან ორი მთამსვლელი გავიდა.

— აბა, ყოჩაღად!

— ერთმანეთს გაუფრთხილდით!

— თუ ამინდი გაფუჭდა, რისკი არ გასწიოთ! — უკან დაადევნეს შინ დარჩენილებმა.

მთამსვლელები დილის ბინდბუნდში მწვერვალ გრანდ კაპუცინისკენ მიიკვლევდნენ გზას. ერთ საათში უკვე იქ იყვნენ. ამ მწვერვალზე ყველაზე რთული გზით იტალიელი ვალტერ ბონატი ავიდა. ის ორი მთამსვლელიც „ბონატის გზით" აპირებდა მწვერვალზე ასვლას, მაგრამ, ამინდი გაფუჭდა — ქარი ამოვარდა, ღრუბლებიც დაიძრა.

მთამსვლელებმა დაინახეს, თუ კულუარის ზემოდან როგორ დაიწყეს დაშვება ფრანგმა ალპინისტებმა. მათ ღამე კულუარის თავზე გაათენეს, მაგრამ ცუდმა ამინდმა აალებინათ ხელი იერიშზე.

იმ ორმა — ქართველმა და რუსმა — მტკიცედ გადაწყვიტა მიზნის მიღწევა. ქართველი ლადო გურჩიანი გახლდათ, რუსი — სერგეი ბერშოვი.

ლადო გურჩიანის სპორტული ბიოგრაფიაც ისევე უბრალოდ, თუ შეიძლება ითქვას, „ტრაფარეტულად" დაიწყო, როგორც ბევრი სხვა სპორტსმენისა.

თბილისის სავაჭრო ტექნიკუმში სწავლობდა. ერთ მშვენიერ დღეს ფიზკულტურის მასწავლებელმა, ქართველმა მთამსვლელმა პირიბე გვარლიანმა ლადო გვერდზე გაიხმო და ჰკითხა, არ გინდა მეკლდეურობაში ივარჯიშოო? ლადომაც თავი დაუქნია. პირიბე ლადოს პირველი დამრიგებელი გახდა. მაშინ, 1964 წელს, ლადო 19 წლისა იყო. ერთი წლის შემდეგ იგი უკვე იალტაში გამართული I საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეა. საქართველოს მეკლდეურებმა მაშინ გამარჯვება რომ არავის დაუთმეს, ამაში ლადოს დამსახურებაცაა. შემდეგ კი ლადომ მეკლდეურობაში ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლითაც დაიმშვენა მკერდი და ბევრ საკავშირო მემორიალში გამარჯვებათა სიხარულიც განიცადა.

მთამსვლელებმა თვალშეუდგამ გრანდ კაპუცინის მთლად ვერტიკალურ კედელს ახედეს. მას „რაღაც" ორასიოდე მეტრიღა აკლდა, რომ კილომეტრი „დაემრგვალებინა".

— აბა, დავიწყოთ! — თქვა ერთერთმა, და დაიწყეს...

... კლდეზე ჩაქუჩის კაკუნის ხმა გაისმის. შემდეგ — ორი სიტყვა: „დაცვა მზადაა". ამას 8-10 მეტრზე ცოცვა მოსდევს. მერე ისევ კაკუნი, ისევ — „დაცვა მზადაა", ისევ — 8-10 მეტრზე ცოცვა. ასე მეორდება ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

შუადღისას მთამსვლელებმა კედლის ნახევარი აათავეს.

გამოიდარა.

ლადო და სერგეი ქვევით იცქირებიან. ვერტიკალური კედლიდან ისევე კარგად მოჩანს მწვერვალის ძირი, როგორც მრავალსართულიანი სახლის აივნიდან — ტროტუარი. ქვემოთ კიდევ ორ წყვილს, ინგლისელ და გერმანელ მთამსვლელებს ხედავენ. ისინიც „ბონატის კედელს" უტევენ.

ამინდი კვლავ გაფუჭდა. თოვა დაიწყო. ყინვამაც მოუჭირა. ამას ქარბუქიც დაერთო, ეშმაკის ბორბალივით ატრიალებს თოვლს და გრანდ კაპუცინის კედელს აფრქვევს. ყინვაც უმალ აკეთებს თავის საქმეს. მალე კედლები ისე გადათეთრდა, რომ ყინულისას დაემსგავსა.

ინგლისელებმა და გერმანელებმა პირი იბრუნეს. ისინი მალე სქელმა ნისლმა ჩაყლაპა.

ლადომ და სერგეიმ ერთმანეთს გადახედეს. ერთმანეთის თვალებში მტკიცე გადაწყვეტილება ამოიკითხეს — მხოლოდ ზემოთ! მწვერვალი აუცილებლად უნდა დავიპყროთ. ჩვენ დავიმორჩილებთ გრანდ კაპუცინს!

ლადო ალბათ, ფიქრობდა, იტალიის მთებზე შური უნდა ვიძიო მიხეილ ხერგიანის დაღუპვისთვის. თუ დოლომიტებში, სადაც ხერგიანი დაიღუპა, მწვერვალზე ასვლის ნებართვა ვერ მივიღეთ, გრანდ კაპუცინი მაინც უნდა დავიმორჩილოთო.

გრანდ კაპუცინზე მანამდე, 1967 წელს ერთმა ქართველმა უკვე დაადგა ფეხი. იგი სწორედ დიდი მიხეილ ხერგიანი გახლდათ. ახლა მეორე ქართველი ჯიუტად ცდიდა ბედს.

სტიქიონი კი თავისას არ იშლიდა, უფრო და უფრო მძვინვარდებოდა.

1968 წელი იდგა. იალტაში პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებათა საკავშირო პირველობა ტარდებოდა. შეჯიბრებაში „კლდის ვეფხვად" წოდებული მიხეილ ხერგიანის მეწყვილე ლადო გურჩიანი იყო. ისინი „ყირიმულ წყვილებში" ფავორიტებად ითვლებოდნენ.

და აი, სტარტი აიღო ორმა ქართველმა — გამოცდილმა სპორტსმენმა და მისმა აღსაზრდელმა. მათ ყველაზე სწრაფად გაიარეს ფრიალო კლდის ნახევარზე მეტი. გამარჯვება სულ ახლოს იყო, როდესაც მოულოდნელად შლამბური გაუტყდათ. ნატეხი კლდეში ჩარჩა. იღბლად „კლდის ვეფხვს" ჯიბეში მეორე შლამბური აღმოაჩნდა და ახლა სხვა ადგილას დაიწყეს კლდის ბურღვა. ამასობაში დაიკარგა ძვირფასი ერთი წუთი. საბოლოოდ — IV ადგილი.

შეჯიბრების შემდეგ „კლდის ვეფხვი" თავის აღსაზრდელებს, ლამის ცრემლმომდგარ ლადო გურჩიანსა და ირაკლი გელდიაშვილს აწყნარებდა. აბა, რას მოგიწყენიათ, ის რა ვაჟკაცია, ვისაც დამარცხება გულს ასე ადვილად გაუტეხს, აგერ ჩვენ, აგერ ეს კლდე და აგერ საბჭოთა კავშირის მომავალი ჩემპიონატიო.

მოსაღამოვდა. ყინვამ კიდევ უფრო იმძლავრა. მთამსვლელები, თუმც გამუდმებით მოძრაობდნენ, მთლად გაითოშნენ. გაყინულ კლდეზე თითები ეწებებოდათ. აბა, რა იქნებოდა: თოკის კიბე ისე გაიყინა, გინდა ვერტიკალურად დაიჭირე, გინდა ჰორიზონტალურად. პოლოს ნაჩვრეტებიდან კი ყინულს ჩაქუჩით ამტვრევდნენ.

ბოლო მონაკვეთზე სერგეი გადის წინ. ლადო გულდაგულ აწყობს დაცვას. მაგრამ თოკი ძალიან ნელა მიცურავს. ლადო სწორედ ამით გრძნობს, რომ სერგეის უჭირს, ერთობ უჭირს. ერთმანეთს კი ხმას ვერ აწვდენენ. მათ ძახილს ქარბუქი სადღაც ქვემოთ, ნისლით ამოვსებული უფსკრულისკენ მიაქანებს.

მოულოდნელად ლადოს ხელში თოკმა სწრაფად იწყო სრიალი...

საბჭოთა კავშირის მომავალი ჩემპიონატიც მოვიდა. ლადომ და ირაკლიმ „კლდის ვეფხვის" იმედი გაამართლეს — ყველას აჯობეს. „ყირიმულ წყვილებში" ლადო გურჩიანი და ირაკლი გელდიაშვილი ჩვენი ქვეყნის მეკლდეურეთა შორის პირველი სპორტის ოსტატები გახდნენ.

...ლადო და ირაკლი საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ და სიხარულით დასცქეროდნენ მკერდზე ალვარებულ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებს. მათს თვალებში ცრემლებსაც შენიშნავდით. ეს მხოლოდ სიხარულის ცრემლები არ იყო — გამარჯვებულნი თავიანთ მასწავლებელს მიხეილ ხერგიანს დასტიროდნენ, რომელიც ამ ჩემპიონატამდე სულ ცოტა ხნით ადრე დაიღუპა იტალიაში, სუალტოს პიკზე.

ეს იყო 1969 წელს.

ლადომ შვებით ამოისუნთქა. თოკის სწრაფი სრიალი ხომ იმას ნიშნავდა, რომ სერგეიმ „გაივაკა". მალე ისინი გრანდ კაპუცინის დაპყრობას ულოცავდნენ ერთმანეთს.

ღამდებოდა, დაშვება შეუძლებელი იყო. ღამე მწვერვალზე უნდა გაეთიათ. ის იყო მთამსვლელებმა კარავი გაშალეს, რომ ისეთი საშინელი გრუხუნი გაისმა, თითქოს ზეცა ჩამოინგრაო.

ჩვენი ქვეყნის მეკლდეურთა ჩემპიონატებში მოპოვებულმა „ოქრო-ვერცხლმა" და მრავალგვარ საკავშირო პირველობებში გამარჯვებებმა ლადო გურჩიანს სახელი გაუთქვა, როგორც შესანიშნავ მეკლდეურს. სწორედ ამიტომ იყო, რომ XX ოლიმპიური თამაშების დროს ახალგაზრდობის საერთაშორისო ალპინიზმის ფედერაციამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირიდან ორ ლენინგრადელთან — გენადი გავრილოვთან და ალექსანდრე დიომინთან ერთად თბილისელი, ახლა უკვე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ლადო გურჩიანიც მიიწვია.

საბჭოთა სამეულმა ჯერ კლდოვანი მასივის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პიკი — ვაცმანი დაიპყრო მე-5 კატეგორიის სირთულის გზით. ასვლას სამი საათი მოანდომეს, მაშინ, როდესაც სხვა საუკეთესო მეკლდეურეები თუ მთამსვლელები, ჩვეულებრივ, თითქმის ორჯერ მეტ დროს ხარჯავდნენ. შემდეგ კი ლადომ „წმინდა წყლის" მეკლდეურობაში პირველმა გაიარა ერთ-ერთი კლდოვანი მონაკვეთი. უცხოელებმაც სცადეს ბედი, მაგრამ მათ ორჯერ მეტი დრო დახარჯეს.

საქსონიის მთებმა ლადო გურჩიანის ავტორიტეტი კიდევ უფრო აამაღლა.

და აი, 1973 წელი. ლადო ახლა სხვა 11 საბჭოთა მეკლდეურსა და მთამსვლელს შორის იტალიის ალპებშია. ერთმანეთის მიყოლებით იპყრობს ალპების უმაღლეს მწვერვალს — მონბლანს (4810 მ), სიმაღლით მეორე მწვერვალს ბრაიტ-ჰორნს (4500 მ), ზურ გიგანტს, მონტე როზას და კიდევ ოთხ მწვერვალს. სულ ბოლოს ჯერი მეათე — ყველაზე რთულად დასაპყრობ გრანდ კაპუცინზე მიდგა. იგი უმაღლესი, მე-6 კატეგორიის სირთულისაა.

გაისმა გამაყრუებელი გრიალი; ელვა-ჭექამ მთამსვლელების ლითონის საჭურველმა განმუხტვა გამოიწვია. ლადო და სერგეი ბეწვზე გადარჩნენ. ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდებაო და, მთამსვლელებმა სტიქიის ზალპი გრანდ კაპუცინზე თავიანთი გამარჯვების ნიშნად ჩათვალეს. თუმცა, საბოლოო გამარჯვება მთლად ახლოსაც არ იყო. საშინელმა ყინვამ, რომელიც ძვალსა და რბილში ატანდა, მთამსვლელები არ დააძინა. არადა, საძილე ტომრებიც კი არ წაუღიათ თან, ფიქრობდნენ, უმისოდაც გავძლებთ, სიარულით კი უფრო სწრაფად ვივლითო.

კარავში რომ არ გაყინულიყვნენ, ერთმანეთს ჩაეკრნენ და დილამდე საუბრობდნენ. განთიადისას კი დაშვება დაიწყეს. რამდენიმე საათის შემდეგ ილაჯგაწყვეტილი, მაგრამ გახარებული მთამსვლელები უკვე მილოცვებს ღებულობდნენ.

ა. გურასაშვილი.



მომავლის სტადიონი

მოსკოვში მშვიდობის პროსპექტზე შენდება უნიკალური სპორტულ-სანახაობითი კომპლექსი. იგი კეთდება არა მარტო ოლიმპიური თამაშებისთვის — მისი ძირითადი „ბიოგრაფია" ხომ (განსაკუთრებით დახურული სტადიონის) 1980 წლის ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ დაიწყება. ამ კომპლექსის პროექტის ავტორებმა შორეული მომავლის განჭვრეტით შეძლეს იმგვარი ნაგებობის შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ ისეთი სპორტული შეჯიბრებები და სანახაობები, როგორზედაც დღეს მხოლოდ ვოცნებობთ.

მომავლის პროექტის შექმნა ძალზე ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ანგარიში უნდა გაუწიო საუკუნის ტექნიკურ საოცრებებს...

მოსკოვის ახალი სპორტულ-სანახაობითი კომპლექსის წარმატება დამოკიდებული იქნება არა მარტო მის შესაძლებლობაზე, არამედ იმაზე თუ როგორ შევძლებთ მის გამოყენებას.

ამ უნიკალური კომპლექსის პროექტზე მუშაობს ავტორთა კოლექტივი მოსკოვის მთავარი არქიტექტორის მ. პოსოხინის ხელმძღვანელობით. არქიტექტორთა მუშაობას სათავეში უდგას ბ. ტხორი, კონსტრუქტორებისას — ი. რაცკევიჩი, ინჟინრებისას — ი. ლვოვსკი. „მოსპროექტ-2"-ის სამმართველოს ამ სპეციალისტების მონაწილეობით შეიქმნა კრემლის ყრილობათა სასახლისა და სხვა ბევრი საუკეთესო თანამედროვე ნაგებობის პროექტები.

სპორტული ტექნოლოგების მუშაობას სათავეში უდგას ი. შაროვი. ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ტექნოლოგიას პირველად მიექცა, და დამსახურებულადაც სერიოზული ყურადღება. თითქმის ნახევარი კილომეტრის სიგრძისა და 250 მეტრი სიგანის დახურულ სტადიონსა და აუზს, რომლებიც ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენენ, აქვთ თბო-და ელექტრომომარაგების საერთო სისტემა და ცენტრალური სამაცივრო სადგური.

დახურული სტადიონის გვერდით აუზის აშენების გადაწყვეტილება მაშინვე არ მიუღიათ. შესაძლოა, არქიტექტურული მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ გაერთიანებას ინჟინერული თვალსაზრისით სარგებლობა მოაქვს. აუზი სურვილის მიხედვით გადაიფარება ხელოვნური საციგურაოთი, რის გამოც მოსკოვის ნაგებობა უნიკალურია და მისი მსგავსი ჯერჯერობით მსოფლიოში არ არის.

დახურული სტადიონის სარბიელის მაქსიმალური პარამეტრებია 115×91 მ. აქ მოწყობილია მძლეოსნური ბილიკები (333,33 მ). გათვალისწინებულია ამავე სიგრძის საციგურაო ბილიკის მოწყობაც.

ყინულის მოედნის ზომაა 112×72 მ. ეს მსოფლიოში ხელოვნური ყინულისსაფარიანი ყველაზე დიდი სარბიელია. აქ ჩატარდება ტურნირები ბურთიან ჰოკეიში, მოციგურავეების შეჯიბრება და ციგურებზე სრიალი. არსებული ნორმის თანახმად ერთდროულად ყინულზე ათასამდე კაცი გამოვა.

რაც შეეხება საცურაო კომპლექსს იგი ორი 50×25-მეტრიანი აუზისგან და წყალში მხტომელთათვის განკუთვნილი მოწყობილობისაგან (33×25-მეტრიანი წყალსატევით) შედგება აქვს სამი სავარჯიშო აუზი (ორი 12,5×9 და ერთი 25×14-მეტრიანი).

ამასთან სპორტულ კომპლექსში შედის 10 საწვრთნელი დარბაზი.

— ახალ კომპლექსში ერთდროულად 1820 სპორტსმენი ივარჯიშებს. თუ ჩავთვლით, რომ ერთი მეცადინეობა 2 საათს გასტანს, მაშინ შაბათსა და კვირას სპორტული კომპლექსი 20 ათას კაცს მიიღებს.

ფეხბურთის ყურებას 35 ათასი კაცი შეძლებს. პარტერში სავარძლების მოწყობის შემდეგ დარბაზი 45 ათას მაყურებელს დაიტევს.

საინტერესოა, მაინც რამდენი ადგილი რჩება სპორტისთვის სახურავქვეშ? არც მეტი, არც ნაკლები — 20 ჰექტარი.

მაშ ასე, ჩვენ გავეცანით „ჯანმრთელობის ინდუსტრიის" ერთ-ერთ უნიკალურ სპორტულ მშენებლობას. საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქი მონაწილეობს მის მშენებლობაში. მუშებსა და ინჟინრებს ბევრი ახალი აზრი დაებადათ და უეჭველია კიდევ ბევრი საინტერესო იდეა წამოეჭრებათ ამ არაჩვეულებრივი კომპლექსის მშენებლობის პროცესში.

ბ. ბელენკი,
ბ. ფედოსოვი.

გაზ. „იზვესტია".

მაია კვლავ ჩემპიონია

ტყიბული, 11 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 64-უჯრიან შაშში საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ბოლო, XV ტურის წინ ერთადერთი გადადებული მ. მოსიძე (თბილისი) — ი. სანდუხაძის (სამტრედია) პარტია ყაიმით დამთავრდა.

XV ტურში მოსიძე დაუზავდა ლ. ყაზარაშვილს (კასპი), ე. შვედოვა (თბილისი) — დ. ასანიძეს (ფოთი), ლ. ქუმსიაშვილი (თბილისი) — გ. ყაზარაშვილს (კასპი). მ. ქარქაშაძემ (სამტრედია) მოუგო ნ. გვენეტაძეს (ტყიბული), ს. გიჯაშვილმა (თბილისი) — ზ. ლაგიძეს (ტყიბული), მ. ფანცულაიამ (თბილისი) — ქ. ნასარაიას (ფოთი), სანდუხაძემ — მ. კაზაროვას (თბილისი), ნ. კალაძემ (სამტრედია) — ბ. გოგინავას (მენჯი).

ჩემპიონატი დამთავრდა. გთავაზობთ მის შედეგებს: I. მ. მოსიძე — 13,5 ქულა, II. გ. ყაზარაშვილი — 12, III. ს. გიჯაშვილი — 11,5. შემდეგ მოდიან: ე. შვედოვა — 11, ქ. ნასარაია — 10, ი. სანდუხაძე — 9,5, ლ. ყაზარაშვილი — 9, დ. ასანიძე — 8,5, მ. კაზაროვა — 7, ნ. კალაძე — 5, მ. ქარქაშაძე — 4, მ. ფანცულაია, ლ. ქუმსიაშვილი, ნ. გვენეტაძე — 3,5-3,5, ზ. ლაგიძე — 1,5. უკონკურსოდ მონაწილე ბ. გოგინავამ 7 ქულა მოაგროვა.

კვლავ წარმატებით ითამაშა თბილისელმა მოსწავლემ მ. მოსიძემ. მან ზედიზედ მეორედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი. სხვათა შორის, ნიჭიერი გოგონა წლეულს ასუჯრიან შაშშიც მეორედ გახდა ჩემპიონი. მაიამ დაუმარცხებლად განვლო შეჯიბრება — მოიგო 12 პარტია და 3 ყაიმით დაამთავრა.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკაში საიმედო ახალგაზრდა მოშაშეები იზრდება. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს დებმა გ. და ლ. ყაზარაშვილებმა. 16 წლის გიული წამყვან მოშაშეთა დასში შევიდა, 9 წლის ლიანამ კი 8 გამარჯვება იზეიმა და ჩემპიონთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. პერსპექტიულ მოშაშეებად წარმოგვიდგნენ ი. სანდუხაძე და ქ. ნასარაია.

ჩემპიონატის საზეიმო დახურვაზე გამარჯვებულ მოშაშეებთან ერთად სიგელით დაჯილდოვდა მ. მოსიძის მწვრთნელი ოსტატობის კანდიდატი ვ. ნინუა.

ვ. ინწკირველი,
ჩემპიონატის მსაჯთა კოლეგიის წევრი.

* * *

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი შაშში ოსტატობის კანდიდატი მ. მოსიძე.

თ. ქიქავას ფოტო.

ჭადრაკი

იოსელიანის ორი მოგება

პეტროზავოდსკი, 12 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმართა კიდევ ორი ტურის (IV, V) შეხვედრები.

წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ოსტატმა, 14 წლის ნ. იოსელიანმა. მან დაამარცხა ლატვიის ჩემპიონი ი. რამანე და ნოვოსიბირსკელი ვ. პეტრუშინა. ორი პარტია მოიგო აგრეთვე ტალინელმა ი. სამულმა, რომელმაც დაამარცხა რ. კოსე (სამარყანდი) და მ. სოკოლოვსკა (რიგა). 1,5 ქულა შეიძინა ოსტატმა ა. მკრტჩიანმა (ტაშკენტი). მან ოსტატ ვ. სტერნინასთან (მოსკოვი) ყაიმის შემდეგ სძლია კოსეს.

ოსტატი ა. გრინფელდი (კალინინგრადი) ყაიმს დასჯერდა სტერნინასთან და ტ. შმაკოვასთან (ნოვოსიბირსკი) პარტიებში.

გთავაზობთ სხვა შედეგებს. V ტური. სოკოლოვსკა — პეტრუშინა 1:0. სამი პარტია გადაიდო. VI ტური. ტ. ფომინა (ტალინი) — სოკოლოვსკა 1:0, ტ. მოროზოვა (ოდესა) — შმაკოვა 1:0. ერთი პარტია გადაიდო.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ა. მკრტჩიანი — 4,5 ქულა, ნ. იოსელიანი, ა. გრინფელდი — 4-4, მ. სამული — 3,5, ტ. ფომინა — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია, ვ. სტერნინა — 3.

ს. ჩეჩელიანი,
სპორტის ოსტატი.

გადადებულია 18 პარტია

დაუგავპილსი, 12 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 37-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმართა IV, V და VI ტურების შეხვედრები.

IV ტურში საქართველოს ორგზის ჩემპიონმა ოსტატმა თ. ხუგაშვილმა შავებით მ. არლაუსკაიტესთან (ლიტვა) ახალინდური დაცვა გაითამაშა. მან თანდათან პოზიციური უპირატესობა მოიპოვა და მეტოქეს სუსტი პაიკი მოუგო. შემდგომ არლაუსკაიტემ მეორე პაიკი დაკარგა და 30-ე სვლაზე დაყარა ფარ-ხმალი.

თ. მინოგინამ მოუგო ვ. დონჩენკოს (ორივე — მოსკოვი), ლ. სემიონოვამ (კიევი) — ო. ლოპატინას (მოგილიოვი). სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა მ. რანიკუმ (ტალინი) სძლია მოსკოველ ტ. ვორონინას, რომელმაც ზედიზედ მესამე პარტია წააგო.

დანარჩენი პარტიები გადაიდო, მათ შორის ნ. ალიოხინა (ვორონეჟი) — ც. კობაიძის (თბილისი) შეხვედრაც.

V ტურში დამთავრდა მხოლოდ სამი პარტია. ახალგაზრდა ლოპატინამ დაამარცხა რანიკუ. ალიოხინამ მოუგო როზენცვაიგს, პიარნუმ — ვ. ბორისენკოს (ტაშკენტი). ხუთი შეხვედრა დაუმთავრებელი დარჩა, მათ შორის ვორონინა — კობაიძისა და ხუგაშვილი — ლ. ბელავენეცის (მოსკოვი) პარტიები. VI ტურში ერთი შეხვედრით მეტი დამთავრდა. ლოპატინამ გაიმარჯვა დონჩენკოსთან. ყაიმზე შეთანხმდნენ რანიკუ — კობაიძე, ალიოხინა — არლაუსკაიტე და ვორონინა — ი. როზენცვაიგი (ლვოვი). დაუმთავრებელია პიარნუ — ხუგაშვილის პარტია.

6 ტურის შემდეგ დაგროვდა 18 გადადებული პარტია, რაც აძნელებს ლიდერთა დასახელებას. ჯერჯერობით წინ არიან ნ. ალიოხინა, ლ. პიარნუ — 3-3 ქულა და 2-2 გადადებული პარტია, ო. ლოპატინა — 3 (1), თ. ხუგაშვილი — 2,5 (2), ი. როზენცვაიგი — 2,5 (1).

ა. გლაგიძე,
სპორტის ოსტატი.

მესამეც დაიწყო

დნეპროპეტროვსკი, 12 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ სტარტი აიღო ქალთა 37-ე საკავშირო ჩემპიონატის მესამე ნახევარფინალმა. შეჯიბრებაში მონაწილეობენ საერთაშორისო დიდოსტატები ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი, წილისყრით ნომერი 9), მ. ლიტინსკაია (ლვოვი, 12), საერთაშორისო ოსტატები კ. ზვორიკინა (მინსკი, 1), ლ. საუნინა (სვერდლოვსკი, 3), ა. კისლოვა (ლენინგრადის ოლქი, 11), ოსტატები ლ. ფილიპოვა (ლენინგრადი, 6), ლ. მულენკო (ზაპოროჟიე, 15); ოსტატობის კანდიდატები ა. დუდკოვა (ხარკოვი, 2), მ. კარტანაიტე (ვილნიუსი, 4), მ. მაკარიჩევა (მოსკოვი, 5), ქ. მელაშვილი (თბილისი, 7), ე. ბელოვა (ლენინგრადი, 8), ა. აკოფიანი (ლენინაკანი, 10), ო. კოლოიარცევა (პენზა, 13), ნ. დრელი (კიშინიოვი, 14), ც. კახაბრიშვილი (თბილისი, 16).

I ტურში ისეთი უშეღავათო ჭიდილი გაჩაღდა, რომ ექვსი პარტია შესვენებამდე დამთავრდა. მელაშვილმა მოუგო აკოფიანს, მულენკომ — დუდკოვას, ლიტინსკაიამ — მაკარიჩევას, კისლოვამ — ფილიპოვას, კოზლოვსკაიამ — ბელოვას, საუნინამ — დრელს. ზვორიკინა — კახაბრიშვილის შეხვედრა გადაიდო მწვავე პოზიციაში.

II ტურში კახაბრიშვილი დაეუფლა ინიციატივას კოზლოვსკაიასთან პარტიაში, რომელშიც გათამაშდა ინგლისური დასაწყისი. მაგრამ დიდოსტატმა შეძლო პოზიციის გამარტივება და 43-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. მელაშვილი თავიდანვე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა კისლოვასთან და დამარცხდა.

ორი პარტია მოულოდნელად დამთავრდა. უკეთეს პოზიციაში საუნინამ დროს გადააცილა მულენკოსთან, ხოლო ფილიპოვამ — ლიტინსკაიასთან. ორივეს, რა თქმა უნდა, წაგება ჩაეთვალა. დრელმა მოუგო კარტანაიტეს, ბელოვამ — აკოფიანს. სხვა პარტიები გადაიდო.

ნ. სოროკინი,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

საასპარეზოდ რუმინეთში

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი (მწვრთნელი ოსტატი ი. ჩიქოვანი) გაემგზავრა რუმინეთის ქალაქ ბრაშოვში 20 წლამდე გოგონათა საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ.

— მზია მეორედ ითამაშებს ამ ტურნირში, რომელიც არაოფიციალური მსოფლიო პირველობაა 20 წლამდე გოგონათა შორის, — თქვა ჭადრაკის სასახლის დირექტორის მოადგილემ, ოსტატობის კანდიდატმა გ. მაჭავარიანმა (იგი სეკუნდანტად გაჰყვა წერეთელს რუმინეთში). — პირველად მან II ადგილი დაიკავა. თბილისელ სტუდენტს გაუსწრო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ოსტატმა პეტრა ფოისტელმა, რომელმაც შარშან თბილისში საზონათშორისო ტურნირში ითამაშა. შეჯიბრება ბრაშოვში 24 აგვისტომდე გასტანს.

დღეს ფინალია

დღეს, ფიზკულტურელის საკავშირო ზეიმის ვითარებაში, გაიმართება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დაძაბული ასპარეზობა ფეხბურთში, სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან დედაქალაქის გუნდები „დინამო“ და „ტორპედო“. ეს ბროლის თასის რიგით 36-ე გათამაშებაა.

არც დინამოელთა, არც ტორპედოელთა კოლექტივებს ზედმეტი რეკომენდაციები არ ესაჭიროებათ. ორივე გუნდი საბჭოთა ფეხბურთის მოწინავე რაზმის წარმომადგენელია, ორივეს მრავალჯერ დაუპყრია უმაღლესი ტიტულები და წლეულსაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვს.

მოსკოვის „დინამო“ დღემდე ოთხჯერ ფლობდა სსრ კავშირის თასს — 1937, 1953, 1967, 1970 წლებში. მაშინ გუნდის მწვრთნელები იყვნენ ვ. დუბინინი, მ. იაკუშინი და ორჯერ — კ. ბესკოვი.

წლევანდელი სეზონი დინამოელებმა დამაჯერებლად დაიწყეს. 10 ტური განვლეს დაუმარცხებლად და თასზეც ჩინებულად იბრძოლეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მათი მოგება კიევის თანაკლუბელებთან მეოთხედფინალში ანგარიშით 3:0.

მოსკოვის „ტორპედო“ თასს ფლობდა ხუთჯერ (ამ მხრივ იგი ჩამორჩება მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკს“) — 1949 (მწვრთნელი კ. კვაშნინი), 1952 (ვ. მასლოვი), 1960 (ვ. მასლოვი), 1968 (ვ. ივანოვი), 1972 (ვ. მასლოვი) წლებში.

ავტოქარხნელები თავიანთ მეტოქეზე ნაკლებად არ არიან მომზადებული წლევანდელი სეზონისთვის, მათსავით ლიდერთა რიგებში იმყოფებიან და, ცხადია, ყველაფერს გააკეთებენ მეექვსე წარმატების მისაღწევად.

საინტერესოა, რომ „დინამო“ და „ტორპედო“ დღემდე მხოლოდ ერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს თასის გათამაშების ფინალში. ეს იყო 1949 წელს. მაშინ გაიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 2:1. აღსანიშნავია ერთი საყურადღებო ფაქტი: იმ მატჩში „ტორპედოს“ კარს იცავდა თბილისიდან მოსკოვში გადასული მეკარე ვ. ლეკსოვსკი.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: 1973 წლიდან მოყოლებული სსრ კავშირის თასის ფინალში არ უთამაშია მოსკოვის არც ერთ გუნდს: 1973 წელს ერთმანეთს შეხვდნენ „არარატი“ — „დინამო“ (კიევი), 1974 წელს — „დინამო“ (კიევი) — „ზარია“, 1975 წელს — „არარატი“—„ზარია“, 1976 წელს — „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“.

დღევანდელი ფინალისტებიდან თბილისის „დინამოს“ მოსკოვის თანაკლუბელები ორჯერ შეხვდნენ ფინალში: 1937 (5:2) და 1970 (2:1) წლებში, ხოლო ტორპედოელები ერთხელ — 1960 წელს (4:3).

ფეხბურთი

მადრიდი, 11 აგვისტო. კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა წააგეს ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ფინალური მატჩი ბილბაოში, ადგილობრივ კლუბ „ატლეტიკთან“ — 0:1 (0:0).

თამაში მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში, ესპანელთა მცირე უპირატესობით, რაც გამოიხატა აგუირეს მიერ 70-ე წუთზე გატანილი გადამწყვეტი გოლით.

III ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ბელგიის „ანდერლეხტი“ და ინგლისის „ასტონ ვილა“. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა „ანდერლეხტმა“.

იტალია. მოსკოვის „სპარტაკმა“ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო რომის „ლაციოს“ — 3:1, ამასთან ყველა გოლი გატანილი იქნა პირველ ტაიმში. ჯერ წარმატებას მიაღწიეს იტალიელებმა (აგოსტინელი, პენალტი), შემდეგ იარცევმა გაქვითა გოლი, ტაიმის დასასრულს კი სოდოროვმა და იმავე იარცევმა წინ გაიყვანეს „სპარტაკი“.

პოლონეთი. აქ მელეცის „სტალთან“ ითამაშა ლვოვის „კარპატიმ“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. კარპატელთაგან გოლები გაიტანეს როდინმა, კოზინკევიჩმა და პოდპალიუკმა.

ფრენბურთი

მინსკი. აქ, სპორტის სასახლე „იუბილეინიში“ დაიწყო ვ. სავინის სახელობის მემორიალი მსოფლიოს უძლიერესი ფრენბურთელ ვაჟთა მონაწილეობით. მონაწილენი ორ ჯგუფად დაიყვნენ. პირველ ჯგუფში ასპარეზობენ პოლონეთის, სსრ კავშირის, რუმინეთისა და ფინეთის, მეორეში — კუბის, იაპონიის, იუგოსლავიისა და ბელორუსიის ნაკრები გუნდები. ჯგუფებში შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდება, შემდეგ კი ორი უძლიერესი კოლექტივი თითოეულ ქვეჯგუფიდან გაითამაშებს ტურნირის მთავარ პრიზს.

შეჯიბრების პირველ დღეს თავისუფლების კუნძულის სპორტსმენებმა სძლიეს იუგოსლაველებს — 3:1 (15:12, 0:15, 15:9, 15:11). სსრ კავშირის ნაკრებმა მოუგო ფინეთის გუნდს — 3:0 (15:8, 16:14, 15:4), იაპონელმა სპორტსმენებმა დაამარცხეს ბელორუსიის კოლექტივი — 3:1 (15:5, 15:11, 8:15, 15:5), ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — პოლონელმა ფრენბურთელებმა მოუგეს რუმინელებს — 3:1 (9:15, 15:2, 15:13, 15:13).

კალათბურთი

პალერმო. იტალიის ამ ქალაქში დამთავრდა „მონდილოს თასის“ გათამაშება კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. ბოლო მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა, ძნელ ბრძოლაში სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს — 83.80 (45:44) და დაუმარცხებლად მოიპოვეს თასი. დანარჩენი ადგილების ბედს გადაწყვეტდა აშშ-ის და იტალიის გუნდების შეხვედრის შედეგი. საბჭოთა კალათბურთელებისათვის იტალიაში შეჯიბრებები კარგი წვრთნა იყო ევროპის პირველობის წინ, რომელიც ერთი თვის შემდეგ ბელგიის ქალაქ ლიეჟში გაიმართება.

დიმიტროვგრადი. საბჭოთა კალათბურთელმა გოგონებმა თავიანთ ჯგუფში მეხუთე გამარჯვება იზეიმეს, როცა დაამარცხეს ფინეთის გუნდი — 114:49 (66:18). ნახევარფინალში მათი მეტოქე იქნება იუგოსლავიის ნაკრები. მეორე ნახევარფინალს შეადგენენ ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის გუნდები. ორივე ნახევარფინალური მატჩი გაიმართება 13 აგვისტოს.

მოსკოვი. ნიუიორკელმა იუნიორებმა 4 მატჩი გამართეს მოსკოველ კალათბურთელებთან, ორჯერ გაიმარჯვეს და ამდენჯერვე დამარცხდნენ. ბოლო მატჩი მათ მოსკოველ სტუდენტებთან გამართეს და წააგეს 97:109. უკანასკნელ შეხვედრას ამერიკელები 13 აგვისტოს გამართავენ მოსკოველ იუნიორებთან.

რეგბი

ქუთაისელები ფინალში გავიდნენ

21 აგვისტოს განახლდება რეგბიში სსრ კავშირის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის. ერთი დღის შემდეგ დაიწყება პირველი ლიგის კოლექტივების საკავშირო შეჯიბრების ფინალური ტურნირი, რომელსაც წინ უძღოდა ზონალური გათამაშებანი.

უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი ორი საგზურისთვის მებრძოლი 12 გუნდი, როგორც ცნობილია, სამ ზონად იყო დაყოფილი. ამ ზონებში ბრძოლები დამთავრდა, გაირკვა იმ ორ-ორი კოლექტივის ვინაობა, რომლებმაც ფინალური ჯგუფი უნდა შექმნან და 22 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით ორ წრედ (მიმოსვლით) გადამწყვეტი მატჩები ჩაატარონ.

უმაღლეს ლიგაში დაბრუნების დიდი სურვილი აქვთ კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მოსკოვის „ავტომობილისტის“ რეგბისტებს, რომლებიც ამ ლიგას შარშან გამოეთხოვნენ.

„ავტომობილისტი“ „ა“ ზონაში იბრძოდა. აქ მისი მეტოქენი იყვნენ ელგავას „რაფი“, ლვოვის „სტროიტელი“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკი“. „ბ“ ზონაში კიეველებს გარდა გამოდიოდნენ ერთ დროს ასევე უმაღლესი ლიგის ბინადარი მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, აგრეთვე, კაუნასის „სტაკლესი“ და ტირასპოლის „ელექტრომაში“, „გ“ ზონაში უფრო გამოუცდელი კოლექტივები შევიდნენ. მათ შორის ყველაზე ახალბედა ქუთაისის „სახლმშენია“. მან პირველ ლიგაში თამაშის უფლება წლეულს მოიპოვა და ზონაში წარმატებასაც მიაღწია — ქუთაისელებმა 6-დან 4 შეხვედრა მოიგეს, ორში დამარცხდნენ (ბურთების სხვაობა 71 — 60) და 8 ქულით ზონაში I ადგილი მოიპოვეს. ამ ზონაში 6-6 ქულა დაუგროვდათ ალმა-ათის „ბურევესტნიკსა“ და ყაზანის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ყაზანელები ბურთების სხვაობით სჯობნიან მეტოქეს (77 — 66), მაგრამ იმის გამო, რომ ამ გუნდების ურთიერთშეხვედრაში ბურთების სხვაობისას უპირატესობა ალმაათელთა მხარესაა, მათ ზონაში II ადგილი, და მაშასადამე, ფინალურ ტურნირში თამაშის უფლებაც მიეკუთვნათ.

გადამწყვეტ ბრძოლებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, „ავტომობილისტმა“ და კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, რომლებმაც ყველა მეტოქე დაამარცხეს. ისინი ფინალში 4-4 ქულით შევიდნენ, ქუთაისელები და ალმაათელები — 2-2 ქულით, ხოლო „რაფი“ და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 0 ქულით.

ქუთაისელებს, ისევე როგორც სხვა გუნდებს ფინალში 4-4 მატჩი აქვთ ჩასატარებელი. ახლა ყველაფერი ამ შეხვედრების შედეგებზეა დამოკიდებული, მან უნდა დაასახელოს ის ორი კოლექტივი, რომლებიც გაისად უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ.

ხელბურთი

მოსკოვში სტუმრად მყოფი პოლონეთის ქალაქ გდანსკის „სპუინია“ ორ მატჩში შეხვდა დედაქალაქის „კუნცევოს“. პირველი ორთაბრძოლა მოიგეს მასპინძლებმა — 20:19, მეორე შეხვედრაში კი იმავე ანგარიშით სტუმრებმა სძლიეს მეტოქეს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99 66 14 93 97 60; რედაქტორის მოადგილე — 99 66 47; პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99 81-71, 93 97 66; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93 97 65; სპორტის პროპაგანდის — 93 97 69; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93 97 63; ჭადრაკის—93-97-61; წერილების — 93-97 64; კორექტორები — 93 97 49; გამომშვები — 93 93 81; ფოტოლაბორატორია — 93 97-68; მემანქანეები — 93-97-67.

17
ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 09990